38/5
1917

თეატრი და ცხოვრება

სათეატრო-სალიტერ. ჟურნალი

№14 — 1917	ფასი	წელიწადი მეხუ...
კვირა აპრილის 2	15 კ.	გამოცემისა

დეპუტატი კაკი წერეთელი (2 სათათბიროსი)

ა ღ დ გ ო მ ა

1

ერი ჩემი აღზდგა მკვდრეთით
გზა მიეცით!
ჩამოდექით!
გმირთა გმირი ამირანიც
მოიმღერის გრგვინვა-ჰექით!

2

სანეტარო დახსნის ხმები
ეფინება ზურმუხტ მდელოს!
გაუმარჯოს ბორკილ აყრილ
თავისუფალ საქართველოს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტე აღსდგა!

მოქალაქენო! მხარი მიეცით ახალ მთავრობას და ზურგი გაუმაგრეთ.
გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

ამხანაგებო!

დამფუძნებელ კრებას უნდა მოსთხოვოთ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია!

აპრილის 2

მკვდრეთით აღსდგა!

კაცობრიობას ძლიერ ცოტა ახსოვს ისეთი ბრწყინვალე აღდგომა, წელს რომ რუსეთს გაუთენდა.

ხელიხელს მისცა რუსეთის მონად ქმნილმა ჯარმა, უენო-უუფლებო მუშა-გლეხმა, მკვდრეთით აღსდგა და ერთის ხელის დაკვრით დაამხო ის, ვინც მთელი სამასი წელიწადი სულთამხუთავივით დასწოლოდა ქვეყანას.

რუსეთის მრავალ მილიონიანმა და მრავალგვარტომიანმა ხალხმა ძლივს შვებით ამოისუნთქა.

ყველა ის, ვინც თვითმპყრობელობის მძიმე უღელ ქვეშე იღუნებოდა, დღეს უკვე უფლება-მოსილ მოქალაქედ არის აღიარებული, ადამიანად ცნობილი...

დიდება და საუკუნო ხსენება, ვინც ამ განთავისუფლების საქმეს შეეწირა, დიდება და სახელი, ვინც თვისი ძალღონე არ დაზოგა ამ ბრწყინვალე აღდგომის გასათენებლად.

ჭეშმარიტად, დღეს შეგვიძლიან გულღიად მივულოცოთ ურთიერთს კაცობრიობის ტანჯვის სიმბოლოს—მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომა.

მით უმეტეს, სიხარულით შეგვიძლიან ერთმანეთს მივულოცოთ ეს ბრწყინვალე დღე ჩვენ—ქართველებმა, რო მთელი ასი წლის განმავლობაში ძაძით მობურვილ ივერიის ეკლესიაში მხოლოდ დღეს გაისმის შვებით აღმოთქმული—ქრისტე აღსდგა!

უნდა აღსდგეს!

მართალია, რუსეთის დიდებულმა რევოლიუციამ ბევრი ყალბი რწმენა-შეხედულება შეაბრუნა; ბევრი ძველებური კანონი დაარღვია და წინა დროის უსამართლო წესები შესცვალა; მართალია ადამიანის პიროვნება დღეს ძველებურად აღარ არის დამცირებული, მაგრამ ჩვენს წყლულთ მხოლოდ ეს არ ემკურნალება, თუ ჩვენს ქვეყანას კიდევ ზევიდან—შორიდან დაუწყეს მართვა-გამგეობა.

ისევ ძაძა-ლალების სინაბარა გაგვიხდება საქმე.

დროა ქართველი ხალხი თვითონ გახდეს თავის თავის მზრუნველი, პატრონი და მომვლელი.

ეს კი მაშინ შეიძლება, როდესაც ქართველ ხალხს მიენიჭება ტერიტორიალური ავტონომია; საქართველოც მკვდრეთით მხოლოდ მაშინ აღსდგება რუსეთის სადიდებლად, მეზობელთა სასიყვარულოდ და თავის თავის საკეთილდღეოდ...

და ეს ასეც იქნება, რადგან ამას მოითხოვს რუსეთის სახემწიფოებრივი ინტერესი და ჩვენის ხალხის კეთილდღეობა.

დროა მკვდრეთით აღვსდგეთ და ჩვენი ქვეყანაც აღსდგეს!

ამ რწმენით გილოცავ, ძვირფასო მკითხველო, ბრწყინვალე აღდგომას, ძველი სიდუხჭირის სამუდამოდ დათურგვნასა და სანეტარო მომავალს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია

კომინისტურ მანიფესტში, რომელიც ყოველი მუშისათვის სახარების უნდა წარმოადგენდეს, არის ყველას მიერ ცნობილი სიტყვები: ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით.

თუ ისე გავიგეთ ეს სიტყვები, თითქოს მარქსი და ენგელსი სპეციალურ სთვლიდენ მუშათა კლასის გამარჯვებისათვის ეროვნული სამზღვრების წაშლას, ეროვნული სხვადასხვაობის მოსპობას, დიდი შეცდომა იქნება.

ყველა ქვეყნის პროლეტარებს ერთი საბოლოო მიზანი აქვთ: ბურჟუაზიული ურთიერთობის მოსპობა და სოციალისტური წყობილების დამყარება.

ამ მიზნის განხორციელებისათვის სრულებითაც არ არის საჭირო მაგალითად, რომ საფრანგეთისა და გერმანიის სამზღვრები წაიშალოს და საფრანგეთი გერმანიას შეეერთდეს ან გერმანია საფრანგეთს.

ასეთი შეერთება მუშათა კლასის საბოლოო მიზანს უფრო ზიანს მოუტანს, რადგანაც ამ მიზნის განხორციელებას ასე თუ ისე შეაფერხებს ეროვნული ბრძოლა.

მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი საფრანგეთის სამზღვრებში ჭმობ ქმედობს, გერმანიისა გერმანიის სამზღვრებში, ორივე ერთად ახორციელებენ პროლეტარიატის საერთო მიზნს—სოციალიზმის დამყარებას.

რაც ითქმის დამოუკიდებელი ერის პროლეტარიატზე, იგივე ითქმის დამოკიდებული ანუ შეერთებული ერის პროლეტარიატის შესახებ.

წარმოვიდგინოთ ერთ წამს, რომ საქართველო არ შეერთებია რუსეთს და დღემდე მან შეინარჩუნა თვისი დამოუკიდებლობა. ჩვენი პროლეტარიატის საბოლოო მიზნის გასამარჯვებლად საჭირო იქნებოდა, რომ ჩვენ ჩვენისავე ხელით ჩვენი დამოკიდებლობა მოგვესპო და რუსეთს შეეერთებოდით?

არა და არა.

ამ გვარი მოთხოვნილება არც ერთი თავისუფალი ქვეყნის პროლეტარიატს არ მოსვლია აზრათ.

დღევანდელს პირობებში, როდესაც ჩვენი სამშობლო წარმოადგენს ნაწილს რუსეთის იმპერიისას, ჩვენი პროლეტარიატის საბოლოო მიზნისათვის და საკეთილდღეოდ საჭიროა თუ არა, რომ ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა პეტროგრადიდან სწარმოებდეს?

ჩემის აზრით ეს სრულებით არ არის საჭირო.

რუსეთის ნაწილს მარტო საქართველო კი არ შეადგენს; რუსეთის ნაწილია პოლონეთი (დღემდე იყო მინც); რუსეთის ნაწილია ლიტვა, რუსეთის ნაწილია უკრაინა და სხ.

პოლონეთის სოციალდემოკრატები ითხოვდენ პოლონეთის ტერიტორიალურ ავტონომიას და დღეს ისეთი ხანა დადგა, რომ პოლონეთში სოციალდემოკრატებიცა და უკიდურესი ნაციონალისტებიც დამოუკიდებლობაზე ოცნებობენ. ლიტვაში სოციალდემოკრატები ლიტვის ტერიტორიალურ ავტონომიას თხოულობენ.

ჩვენ რომ დამოუკიდებელ ერს წარმოვადგენდეთ და მეგრელებმა ტერიტორიალური ავტონომია მოითხოვონ, ჩვენ გვგვიკვირდება: ჩვენი ძმები ხართ და რათ გინდათ ავტონომია, ბევრი ვეტყვით.

უკრაინა თითქმის იგივეა რუსეთში, რაც სამეგრელო ჩვენში; მიუხედავად ამისა უკრაინის სოციალდემოკრატია ითხოვს უკრაინის ტერიტორიალურ ავტონომიას და პეტროგრადის მუშათა საბჭოს წევრი სოციალდემოკრატ სოკოლოვი საჯაროდ აცხადებს: უკრაინამ ავტონომია უნდა მიიღოსო.

აქედან ცხადია შემდეგი: თუ პოლონეთში, ლიტვაში, უკრაინაში პროლეტარიატის ინტერესი არ მოითხოვს ამ ქვეყნების მართვა-გამგეობას პეტროგრადიდან ანუ ცენტრალისტურ დამოკიდებულებას, ცხადია, ამგვარი დამოკიდებულება არც ჩვენი პროლეტარიატისათვის არის საჭირო. აქედანვე აშკარავდება შემდეგი დებულება: თუ ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის სოციალდემოკრატიული პარტიის პრინციპებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც ჩვენში იქნება პრინციპების ღალატი, რომ ჩვენმა სოციალდემოკრატიამ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია მოითხოვოს.

პოლონეთში ტერიტორიალურ ავტონომიას მარტო სოციალდემოკრატიული პარტია კი არ მოითხოვდა, მოითხოვდენ სხვა პარტიებიც. მიუხედავად ამისა იქაური მუშების სრულებითაც არა ჰქონიათ შიში: ავტონომიის მოთხოვნილებით სხვა პარტიებში გვითქვიფეთით და ჩვენს სახეს დავკარგავთო.

ჩვენში კი ყოველი შეგნებული მუშა დარწმუნებულია, ავტონომია რომ მოვითხოვო, ფედერალისტად გადავიქცევი და ჩემს რწმენას—სოციალდემოკრატიულ პარტიას ვუღალატებო.

მუშათა კლასი და სოციალდემოკრატიული პარტია როგორც ყველგან ისე ჩვენში იმდენად გარკვეულ სახეს ატარებენ, მათი პროგრამა იმდენად ჩამოყალიბებულია და მათი მეცნიერული საფუძველი იმდენად მკაფიო და თვისებური, რომ ეროვნულ საკითხში რა გზაც უნდა აირჩიონ, მათ საკუთარ პარტიულ სახეში ეს ვერაფითარ ცვლილებას ვერ შეიტანს და ამ გვარი შიში სრულებით უსაფუძვლოა.

ტერიტორიალურ ავტონომიას ჩვენში თავადებიც თხოულობენ.

მერე რა ვუყოთ? მოითხოვონ.

დღეს რუსეთში კადეტები დემოკრატიულ რესპუბლიკას თხოულობენ.

მაშ პროლეტარიატი უნდა გამოდგეს და იყვიროს: მე არ მინდა დემოკრატიული რესპუბლიკა, რადგანაც მას კადეტები თხოვილობენო?

ამ გვარი შიში არის ნაყოფი ყალბი ინტერნაციონალიზმისა და ძალა, ბას გამოვეთხოვოთ.

სხვაგან, ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში სოციალდემოკრატია იბრძვის სხვა პარტიების ერთგულ პროგრამას და ამის გამო სრულებითაც არ ეშინია მას, ჩემი სახე არ დავკარგო და სხვა პარტიებში არ გავიქცეფოგო. ჩვენში კი ყოველი ჩვენგანი ცდილობს, არასფერში არა ჰგავდეს სხვას, არასფერი არ ჰქონდეს სხვასთან საერთო და მეოდამ ერთის შიშით არის შეპყრობილი: სხვასთან მეზობლობა რომ ალმომაჩნდეს, მაშინ ხომ ჩემი რწმენის მოღალატე გამოვდექიო.

ხშირად გამიგონია მუშებისაგან: ჩვენ და რუსის მუშებს ერთი მიზანი გვაქვს, ამიტომ ერთმანერთს ვერ დავშორდებით; ავტონომია კი დაგვაშორებსო.

ამგვარ მოსაზრებას რომ მუფუძველი ჰქონდეს, მაშინ მას პოლონეთის, ლიტვისა და უკრაინის მუშებიც წამოაყენებდენ და ტერიტორიალურ ავტონომიას უარჰყოფდენ, მაგრამ ისინი ასე არ ირჯებიან,—პირიქით ტერიტორიალურ ავტონომიას დაჟინებით მოითხოვენ.

თუ იმას იფიქრებს ჩვენი მუშა ხალხი, რომ რუსეთის პროლეტარიატი უამისოთ თავის მიზანს ვერ მიაღწევს,—ეს იქნებოდა ჰამშულსებური გაბერვა საკუთარი ძალღონისა.

ან თუ იმას იფიქრებს ჩვენი მუშა ხალხი, რუსეთის პროლეტარიატი თუ არა ისე ჩემს მიზანს ვერ განვახორციელებო, ესეც ნამეტანი დამცირება იქნება საკუთარი ძალღონისა.

აკ სიმართლეც რომ იყოს, ტერიტორიალური ავტონომია სრულ დამოუკიდებლობას კი არ ნიშნავს,—ჩვენი მეარეული ისევ რუსეთი იქნება და ჩვენი დემოკრატიული წყობილების დარაჯი გარდა ჩვენი დემოკრატისა რუსეთის პროლეტარიატიც იქნება.

ყოველი ერის პროლეტარიატი განსაზღვრულ ტერიტორიაზე ახორციელებს თავის მიზანს.

ასტრონომი პარიზიდან იკვლევს ცას, პეტროგრადიდან, ბერლინიდან, ინგლისიდან თუ ნიუიორკიდან,—სულ ერთია ის ემსახურება ერთ დარგს მეცნიერებისას.

სწორეთ ასეა პროლეტარიატიც: საფრანგეთში იბრძვის ის, ინგლისში, გერმანიაში თუ რუსეთში, სულ ერთია ის, ემსახურება პროლეტარიატის საერთო საქმეს.

ერთი ქვეყნის პროლეტარიატს არ შეუძლია მთელი დედამიწის საქმე გააკეთოს, მთელ კაცობრიობას გასწევდეს. არც არის ეს საჭირო. რაკი ყველა ქვეყნის პროლეტარიატს ერთი მიზანი აქვს, დეე ყველამ თავისი ქვეყნის სამზღვრებში იმოქმედოს. შეერთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული მოქმედება ყველასი ახორციელებს საერთო მიზანს. მხოლოდ ასე შეიძლება გაგება და ახსნა სიტყვებისა: ყველა ქვეყნის პროლეტარებო შეერთდითო, და არა ისე, თითქოს საჭირო იყოს ეროვნულ ტერიტორიალური სამზღვრების უარყოფა.

ქართველი მუშა ხალხი პროლეტარიატის საერთო მიზანს საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მიწაწყალზე ახორციელებს.

ამიტომ თუ ის ეცდება, ამ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ისეთი უფლებები მოიპოვოს, რომ მისმა მოქმედებამ მეტი ნაყოფი გამოიღოს, იმით მუშა ხალხი კი არ ჩამოშორდება თავის მიზანს, უფრო სწრაფის ნაბიჯით გასწევს იქითკენ. ჩვენ რომ მოვიპოვოთ ტერიტორიალური ავტონომია, ჩვენს სამზღვრებში მოექცევიან სხვა ერებიც. შესაძლებელია ჩვენ ისინი შევავიწროვოთ, შევზღუდოთ და მაშინ ავტონომიის წყალობით ჩვენი სამშობლო გადაიქცევა ეროვნული მტრობისა და სიძულვილის ასპარეზათ. ეს კი მუშა ხალხის საერთო საქმეს ხელს უშლის.

ამგვარი შიში არსებობს მუშათა წრეში, მაგრამ ეს შიში სრულებით უსაფუძვლოა.

საქმე იმაშია, რომ ტერიტორიალური ავტონომია თვითმპყრობელობა ხომ არ არის ან ბატონყმობის აღდგენა, როგორც ზოგიერთი ჩვენი პროპაგანდისტი ანათლებდა ჩვენს სოფელს.

ტერიტორიალურ ავტონომიას სარჩულად ედება დემოკრატიული წყობილება. ტერიტორიალურ ავტონომიაში გამეფებული იქნება დემოკრატია და არა თავად-აზნაურობა. ყოველი ნაბიჯი ჩვენი დემოკრატიისა დემოკრატიული იქნება და არა დემოკრატიის საწინააღმდეგო. ამიტომ სრულებით უსაფუძვლოა ის შიში, თითქოს ჩვენი დემოკრატია შეავიწროებს საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს.

ყველა ეს მოსაზრებანი მხოლოდ იმ აზრის გასაშუქებლად ჩამოვთვალე, რომ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია სრულებით არ ეწინააღმდეგება მუშა ხალხის მიზანსა და სოციალდემოკრმტიის მოძღვრებას.

მიუხედავათ ამისა შეიძლება ის მაინც არ მოვითხოვოთ დღევანდელს პირობებში; ტაქტიკურის მოსაზრებით შეიძლება ჯერჯერობით გავჩუმდეთ და ეს საკითხი არ წამოვაყენოთ.

სწორედ დღევანდელი პირობები მიმაჩნია მე ხელსაყრელათ, რომ ტერიტორიალური ავტონომია მოვითხოვოთ.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ არ წარმოვად გენთ დაპყრობილ ერს. ჩვენ ჩვენის ნებით შევუერთდით რუსეთს. ჩვენს შეერთებას საფუძვლად დაედვა ხელშეკრულობა ანუ ტრაქტატი, რომელიც არ დაკარგულა და დღემდე დაცულია. ამ ხელშეკრულობას ადასტურებს როგორც ჩვენი მთავრობა, ისე რუსეთისა.

ამ ხელშეკრულობის ძალით ჩვენ საკუთარს, შინაურს საქმეებში სრული ბატონ-პატრონი უნდა ვყოფილიყავით, — ჩვენი ქვეყნის მართვა გამგეობა ჩვენს საკუთარს ხელში უნდა ყოფილიყო. ერთის სიტყვით საქართველო იქნებოდა ავტონომიური სახელმწიფო რუსეთის მფარველობის ქვეშ.

შემოდგა თუ არა ჩვენში ფეხი რუსეთის ჟანდარმმა, ეს ხელშეკრულობა სრულებით გააუქმა რუსის მთავრობამ და ამგვარად ძალადობით აგვყარა ყველა უფლებანი.

ახალმა მთავრობამ მოსპო ძველი რეჟიმი და აღადგინა ადამიანის უფლებანი; ის ვალდებულია, აღადგინოს ერის უფლებანი; ის უარს ვერ გვეტყვის, დაგვიბრუნოს ის, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა.

ხვალ კი შეიძლება უარი გვითხრას და აი რატომ.

ამ ჟამად რუსეთში ბურჟუაზიული რევოლიუციაა; თავად-აზნაურობისა და ბიუროკრატიის ბატონობა ისპობა, იმათ ალაგს იჭერს მრეწველთა და ვაჭართა კლასი ანუ ბურჟუაზია. ქვეყნის მართვა-გამგეობა გადადის ოქტომბრისტებისა და კადეტების ხელში. ესენი არიან რუსეთის ბურჟუაზიის იდეიური ხელმძღვანელნი.

სანამ ბურჟუაზია საბატონო ტახტზე ჯერ არ ჩამომჯდარა მძიმეთა და იმედიანათ, უშიშრათ, ის გულუხვად და თვისი ხელმძღვანელების პირით უხვათ არიგებს ყოველგვარ თავისუფლებას,—ერთ არშინს თხოულობთ, სამი მიირთვით, წაიღეთ ყოველგვარი თავისუფლება! მაგრამ როდესაც ბურჟუაზია ფეხს მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმაგრებს და გაბატონდება, ჩვენ ვიცით მაშინ მისი გულუხვობის ამბავი,—უბრძოლველად ვეღარაფერს დააძრობ ხელიდან.

აი სანამ ძველი ბატონი თავდალმა მიექანება ახალი ჯერ არ დამკვიდრებულა მწვერვალზე, სწორედ ახლა შეგვიძლია დამფუძნებელ კრებას ავტონომია მოვთხოვოთ. თუ ეს მომენტი ხელიდან გავუშვით, დიდხანს ვეღარ მოვიპოვებთ.

იქნება ავტონომიის მოთხოვნით რუსეთის დემოკრატიას ვაწყენინოთ, გული გავუტეხოთ!

რუსეთის დემოკრატიის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი სოკოლოვი აცხადებს: უკრაინელებს ავტონომია უნდა მივცეთო.

აქედან აშკარაა, რუსეთის დემოკრატიას, რუსის პროლეტარიატს პრინციპიალურად არაფერი არა აქვს ტერიტორიალური ავტონომიის წინააღმდეგი.

ტერიტორიალური ავტონომია არ ეწინააღმდეგება არც ჩვენს მიზანსა და მოძლვრებას, არც ჩვენს ტაქტიკას.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ის არ მივიღოთ, თუ რომ ის ჩვენი ქვეყნისათვის საზარალოა.

მაშ განვიხილოთ, რას მოგვიტანს ჩვენ ტერიტორიალრური ავტონომია.

ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა იქნება ჩვენს საკუთარს ხელში. რადგანაც ჩვენში დემოკრატია საკმაოთ ძლიერია და ყოველისფერი დემოკრატიულათ იქნება მოწყობილი, ქვეყნის სათავეში ჩადგება და დამკვიდრდება დემოკრატია.

ჩვენი ქვეყანა პატარაა და მასთან მდიდარი. გაკეთდება რკინის გზები ყოველ კუთხეში, გაჩაღდება მრეწველობა, მეურნეობა, ვაჭრობა. მუშა ხელი უმუშევრათ არ დარჩება. ხელფასი იმატებს, გლეხის ნაწარმოებს ბაზარი გაუჩნდება და ამგვარათ მთელი ხალხის კეთილდღეობა შესამჩნევათ წაიწევს წინ. მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას კვალდაკვალ მიჰყვება მეცნიერული და ტეხნიკური ცოდნის განვითარება და ჩვენი ქვეყანა უცილობლივ გაუსწრებს შვეიცარიას, რადგანაც ჩვენი ქვეყანა გაცილებით უფრო მდიდარია.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას თან მოჰყვება ძლიერი ქართველი ბურჟუაზია. მაგრამ ეს სრულებითაც ნუ შეაშინებს მუშა ხალხს, რადგანაც სადაც ძლიერი ბურჟუაზია არის, იქვეა ძლიერი მუშათა კლასიც.

კლასთა ბრძოლა გაღრმავდება. მე მოწამს, რომ ავტონომიური საქართველო გაცილებით უფრო ადრე განახორციელებს საბოლოო მიზანს პროლეტარიატისას—სოციალიზმს, ვიდრე საქართველო ტერიტორიალურ ავტონომიას მოკლებული.

განათლებული, განვითარებული, მდიდარი საქართველო; მეცნიერული, ტეხნიკური და ყოველგვარი პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი ქართველი ერი; განვითარებული ვაჭრობა-მრეწველობა და ძლიერი მუშათა კლასი—აი რას უქადის ქართველ ერს ტერიტორიალური ავტონომია. დაწვრილებით ლაპარაკი ავტონომიის ფუნქციების შესახებ ზედმეტია.

მნიშვნელობა აქვს თვით პრინციპს ავტონომიისას. თუ ჩვენ მოვახერხეთ ავტონომიის მიღება, რა ვიწროც უნდა იყოს მისი ფუნქციები, დრო თანდათან გააფართოებს და განავითარებს მას.

მაგალითი თვალწინა გვაქვს: სახელმწიფო სათათბირო პირველათ არასფერს არ წარმოადგენდა რუსეთში, ახლა კი ყოველისფერია.

როგორ უნდა მივიღოთ ავტონომია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, რა არის საჭირო ავტონომიის მისაღებათ?

საჭიროა მთელი ქართველი ერის ხმა გაისმას, მთელმა ქართველმა ერმა მოითხოვოს, რომ მისთვის ტერიტორიალური ავტონომია სასიცოცხლო საკითხია. ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა პარტიების შეთანხმება.

ავტონომია საქართველოსი არ არის პარტიული საქმე. ის არის მთელი ერის საქმე. ამიტომ ვერც ერთი პარტია თავის თავათ ვერც მიიღებს მას, ვერც უარჰყოფს. ყველა პარტიები და ჯგუფები უნდა შეთანხმდენ და ერთად შეიმუშაონ დასაბუთებული გეგმა საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიისა.

საქართველო შინაურმა კინკლაობამ დაღუპა. სამწუხაროთ ამასვე ვხედავთ დღესაც.

საკმაოა შეგნება დიადი ისტორიული მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტისა, საკმაოა გათვალისწინება ჩვენი მოვალეობისა მამულის წინაშე დღევანდელ დღეს ჩვენ არა გვაქვს. სიტყვით სულ შეთანხმებაზე ვლაპარაკობთ, საქმით კი ყოველ დღე ძირს ვუთხრით ამ შეთანხმებას.

სირცხვილი როგორ არ არის, როგორ არ უნდა ვწითლდებოდეთ, რომ ჩვენ მეზობელ სომხებს დროებითი მთავრობა პეტროგრადში იბარებს: ავტონომიის მასალები წარმოგვიდგინეთო.

ჩვენისთანა საბუთი ავტონომიის მოსაპოებლად დედამიწის ზურგზე მეორე ერს არ მოეპოება და ჩვენ კი არავინ არა გვცემს ხმას. ან კი როგორ უნდა დაგვიბარონ, როდესაც ავტონომიის საკითხი ჯერ კიდევ სადაოა ჩვენ შორის!

მარტო პარტიათა შეთანხმება საკმარისი არ არის ჩვენი ავტონომიის ბედისათვის,— აუცილებლათ საჭიროა ჩვენს მეზობლებთან— თურქებთან და სომხებთან მოლაპარაკება და შეთანხმება.

თურქებთან შეთანხმება ადვილია, რადგანაც ჩვენ შორის ტერიტორიის გამიჯვნა შედარებით ადვილია.

სომხებთან შეთანხმება კი გაცილებით უფრო ძნელია, რადგანაც ჩვენ შორის ტერიტორიის გამიჯვნა მეტად ძნელია და ბევრი სადაო საკითხი წამოჰყოფს აქ თავს.

ეჭვს გარეშეა, ზოგი ჩვენ უნდა დავუთმოთ, ზოგი მათ. ეს საჭიროა ორივე ერის კეთილდღეობისა და ძმური განწყობილებისათვის.

თუ სომხებმა ჩუმათ, ფარულად მოახერხეს ავტონომიის მიღება კავკასიაში, ჩვენ ამას ვერასოდეს ვერ დავეთანხმებით; აგრედვე ისინიც ვერ დაგვეთანხმებიან, რომ ჩვენ ჩუმათ მივიღოთ ავტონომია.

ეჭვს გარეშეა, ზოგან სამზღვრებს შესწორება დასჭირდება და ჩვენი სოფლები სომხეთის ტერიტორიალურ ავტონომიაში მოექცევიან, მაგრამ ეს აუცილებელია. მხოლოდ ერთი რამ ცხადი უნდა იყოს ჩვენთვისაც და მათთვისაც:

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიის დედაქალაქი თფილისი უნდა იყოს.

უმჯობესია, მთელი ქართველი ერი ერთ დღეს გასწყდეს, ვიდრე მან თფილისი დაჰკარგოს. ტერიტორიალური ავტონომია უთფილისოდ—ეს იქნებოდა ქართველების უდიდესი შეურაცყოფა, საცინათ აგდება, პამპულათ გამოყვანა.

მეტყვიან თფილისში უმრავლესობა სომხობა არისო. მერე რა ვუყოთ?

პოლონეთის ბევრ ქალაქში დიდი უმრავლესობა ებრაელები არიან, მიუხედავათ ამისა პოლონეთი პოლონელების არის და არა ებრაელების.

თფილისში ერთი ქართველიც რომ არ იყოს, მაინც ქართველების არის თფილისი,— სხვისი არავისი.

თფილისი ჩვენთვის აღთქმის ქვეყანაა, ჩვენი სიწმინდეა, ჩვენი სულიერი განძია; თფილისი ჩვენს სულშია, ჩვენს არსებაში. ჩაქსოვილი ისე მჭიდროთ, რომ მისი ამოშლა, მისი ამოგლეჯა ყოვლად შეუძლებელია. თფილისი ჩვენი ისტორიაა, ჩვენი მომავალია; თფილისი ჩვენი ბედია, ჩვენი სიყვარული, ჩვენი სიხარული, ჩვენი იმედი, ჩვენი ოცნება.

სხვისათვის კი რა არის თფილისი?

სიმდიდრე, ფული,—მეტი არაფერი!

თფილისთან ჩვენ აგურები კი არ გვაკავშირებს, როგორც ჩვენს მეზობელ სომხებს. თფილისთან ჩვენ გვაკავშირებს ჩვენი გული, ჩვენი ქართველობა, მთელი ჩვენი ისტორია.

პოლონეთის ბევრ ქალაქში დიდ უმრავლესობას ებრაელები შეადგენენ, მაგრამ არც ერთ პოლონელ სოციალდემოკრატს არ მოსვლია აზრათ ამ ქალაქების ცალკე გამოყოფა.

თფილისი ქართლის ნაწილი იყო, არის და უნდა იქნეს.

თფილისი საქართველოს დედაქალაქი იყო, არის და უნდა იქნეს.

ივ. გომართელი

ავტონომია და მუშა ხალხი

რა არის ტერიტორიალური ავტონომია?

ტერიტორია მიწაწყალია; ქართველი ერის მიწაწყალი საქართველოა.

ავტონომია ნიშნავს საკუთარ მარვთ-აგამგეობას.

ერი, რომელსაც საკუთარი მიწაწყალი გააჩნია, ამ საკუთარ მიწაწყალზე საკუთარ შინაურ საქმეებს თვითონ განაგებს თვისის ძალღონით, თვისი ნება-სურვილის თანახმათ.

აი ეს არის ტერიტორიალური ავტონომია.

თავისუფლება და თავისუფალი მმართველობა შინაურ ცხოვრებაში—აი ტერიტორიალური ავტონომია.

ერთი მიბრძანეთ ღვთის გულისათვის და სინიდის ქვეშ, რა არის აქ ისეთი, რის წინაღმდეგ ბრძოლასა და რის დასამარებასაც ამდენი ძალღონე შეალიეს ჩვენმა ამხანაგებმა?

ჩვენი ამხანაგების მედგარმა ბრძოლამ და შეუჩერებელმა იერიშმა რუსეთის თვითმყრობელობა დასცა, მაგრამ ტერიტორიალურ ავტონომიას ვერა მოუხერხა-რა.

რატომ?

იმიტომ რომ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია სინათლეა, ჭეშმარიტებაა. სინათლისა და ჭეშმარიტების დასამარება კი ყოვლად შეუძლებელია.

ამხანაგების ამხედრება საქართველოს ავტონომიის წინაღმდეგ უბრალო ჟინიანობა-კი არ იყო, მათ გულწრფელათა სწამდათ და ბევრს ახლაც სწამს, რომ საქართველოს ავტონომია ქართველი პლორეტარიატისათვის ხელსაყრელი არ არის.

ასეთი შეხედულება სრულებით უსაბუთო გამოდგა.

ჩვენი ამხანაგები ცხრაას ხუთიდან მოყოლებული ამგვარი საბუთების ძებნაში არიან და ჯერ-ჯერობით ვერაფერი ვერ ნახეს. სამწუხაროთ ეროვნულ საკითხის რყევაში ჩვენი ამხანაგები დროსკი არ მოექცენ თავში, სულ უკან ჩამორჩენ: დრო ეზიდებოდა მათ წინ და ისინიც ძალაუნებურათ მისდევდენ.

რა საჭიროა თავის მოტყუება და სიმართლის გულისათვის ადამინის გაკიცხვა: ასეთმა უკან ჩამორჩენამ ეროვნულ საკითხში მთელ პარტიას დიდი ზიანი მოუტანა.

ტერიტორიალური ავტონომიის წინააღმდეგ ბრძოლა იმდენათ სასტიკი იყო, რომ არა თუ მუშების თვალში, ინტელიგენტი ამხანაგებისათვისაც ყოველი ავტონომისტი სოციალდემოკრატი პარტიის მოღალატე და პროლეტარიატის მტერი იყო.

ჩვენმა პროპაგანდისტებმა ამ მხრივ ყოველისფერს გადააჭარბეს. როდესაც ხალხში სალაპარაკოთ გამოდიოდნენ, მათი უმთავრესი საბუთი ავტონომიის წინაღმდეგ ეს იყო: ავტონომია ბატონყმობის აღდგენა არისო.

არ გვინდა ავტონომიაო, იგრიალებდა ხალხი და პროპაგანდისტიც გამარჯვებული იყო. აბა სიყალბით ვინ გასულა ფონს, რომ ჩვენ გავსულიყავით?

სამწუხაროთ ზოგიერთი პროპაგანდისტი დღესაც ამავე შეცდომას იმეორებს, რითაც პარტიას ამცირებს, სახელს უტეხს.

დღემდე მუშა დარწმუნებული იყო, რომ ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნა სოციალდემოკრატის პროგრამას ეწინააღმდეგებოდა. დღეს-კი იმდენი რამ გამოაშკარავდა, რომ ჩვეულებრივი მუშა, მეტათ ჩააფიქრა ავტონომიის საკითხმა.

მართალია ყველა განაპირა ქვეყნების მუშათა კლასი ტერიტორიალურ ავტონომიას თხოულობს.

აიღეთ უკრაინელები, ლატიშები, ესტონელები, ლიტვა,—ყველგან სოციალდემოკრატია ტერიტორიალურ ავტონომიას თხოულობს.

ჩვენ-კი ყველაზე ბრძენი გამოვდექით! მხოლოდ ჩვენ მივხვდით, რომ ტერიტორიალური ავტონომია საერთო საქმეს დაჰღუპავს!

კუზიანს რა გაასწორებს?

სამარეო, უთქვამს ხალხს.

ზოგი ჩვენი ამხანაგი ეროვნულ საკითხში სწორეთ კუზიანია,—მთელი ქვეყანა რომ პირზე დაადგეს, საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიას ვერ წარმოათქმევინებს.

სხვები-კი ჰფიქრობენ, გუშინ ავტონომიას ვუარყოფდით და დღეს რომ მივიღოთ, რას ემგვანებაო.

რასა და პატიოსნებას, მოქალაქეობრივობას, კეთილშობილებას.

შეცდომის შეგნება, აღიარება და გასწორება ადამიანის ერთი უდიდესი ღირსებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტე შესცდა, იუდა რომ მოწაფეთ მიიღო, და ჩვენ ვინა ვართ?

მუშა ხალხი ვალდებულია, რომ კარგათ გითვალისწინოს დღევანდელი დღე და დღესვე ამოუდგეს გვერდში საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიას, თორემ ხვალ შეიძლება გვიან იყოს.

მრწამს და ვიღიარებ იმრე თუ გვიან საქართველო მიიღებს ტერიტორიალურ ავტონომიას და, მუშა ხალხის სურვილის წინააღმდეგ რომ მიიღოს, მუშა ხალხი რომ წინ გადაეღობოს ქართველი ერის უფლებებს და უძლიერეს მისწრაფებას, ეს იქნება საშინელი საქმე მუშა ხალხისა, საშინელი, რომლის მზგავსი მეორე არ იქნება არასოდეს ისტორიაში.

ტერიტორიალური ავტონომია არის კეთილდღეობა, ბედნიერება მთელი ქართველი ერისა და განსაკუთრებით ქართველი დემოკრატისა.

მერე ვინ უნდა გამოიდვას თავი მის ბედნიერებისათვის, თუ არა ქართველმა მუშა ხალხმა?

ერთი უმთავრესი მოსაზრება, რომელიც ბევრს აშინებს, ისაა მდგომარეობს, ვაი თუ ტერიტორიალურ ავტონომიაში სომხები შეავიწროვოთ, მაშინ ეროვნული მტრობა უფრო გამწვავდება და მუშა ხალხის საერთო საქმეს შეაფერხებსო.

ვერ ნახავთ ისეთ ქვეყანას სადაც მკვიდრ და ისტორიულ მცხოვრებში სხვა ხალხიც არ იყოს შერეული, მაგრამ ამის მიხედვით არავინ არ უარჰყოფს ტერიტორიალური ავტონომიის საჭიროებას და სარგებლობას.

პოლონეთში ზოგან პოლონელთა რიცხვს ებრაელები სჭარბობენ, მაგრამ ამის და მიხედვით პოლონელი მუშები არა ჰყვარიან: არ გვინდა პოლონეთის ავტონომიაო. პირიქით დღეს ისინი პოლონეთის სრულ თავისუფლებას თხოულობენ.

ამ გარემოებასაც რომ თვი დავანებოთ, თუ რუსეთში ახალმა მთავრობამ საბოლოოთ გაიმარჯვა, მოქალაქეობრივი თავისუფლება მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნდა და ჩვენ ავტონომია მიგიღეთ, ვის ხელში იქნება ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა?

დემოკრატიის ხელში.

მერე განა შესაძლებელია, რომ ჩვენმა დემოკრატიამ საქართველოში მცხოვრები სომხები შეავიწროვოს?

ვინც ასე ჰფიქრობს, ის შეურაცხჰყოფს დემოკრატიას.

პირიქით ავტონომიურ საქართველოში ალბავ ალარ ექნება იმ ეროვნულ მტრობას, რომელიც დღეს ჩვენში არსებობს სამწუხაროთ.

როგორც ყველა კითხვების, ისე ეროვნული კითხვის გადაწყვეტაში მუშა ხალხი ძალიან დიდ როლს თამაშობს. ამიტომ ყველაზე მეტი სიფრთხილე, მეტი წინდახედულობა, მეტი აწონ-დაწონვა, მეტი სიდინჯე, მეტი სიბრძნე და შორს მკვრეტელობა ჰმართებს დღეს.

უმთავრესი პასუხის-მგებელი ჩვენი მომავალის, ჩვენი ისტორიის წინაშე ის არის და ამიტომ ყოველი თვისი ნაბიჯი ხანგრძლივი ფიფქრებისა და აწონდაწონვის შემდეგ უნდა გადადგას: პატარა ადამიანი რომ შეცდება, თავის თავს აენებს მხოლოდ; დიდი როცა შეცდება, შეიძლება მთელი ქვეყანა დაღუპოს.

ეროვნული საკითხი მთელი ქართველი ერის საკითხია და მუშა ხალხმა მარტო თვითონ არ უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი: გონიერება და ქვეყნის სარგებლობა ითხოვენ, რომ მან სხვებთან შეთანხმებითია და მორიგებით გადასწყვეტოს ეს დიდი კითხვა.

ივ. გომართელი

მუშას

ამხანაგო მუშა!

მუშა ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ და აუარებელმა მსხვერპლმა თავის მიზანს მიაღწია: რუსის ხალხმა შემოიერო ბორკილები და ის დღეს თვითან ჰრას თვისი სკეუთრი ბატონ-პატრონი. დღეგანდელი რევოლუციით რუსის ხალხმა მოიპოვა რაო�რ მოქალაქობრივი, ისე ეროვნული უფლებანი:

რას ვეძახი მე ეროვნულ უფლებებს?

ეი რას.

დღეგმდის რუსეთს განაგებდენ მეფე და მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი მოაგრობა,—განაგებდენ ისე, როგორც მათ სურდათ და არა ისე, როგორც თვითონ რუსის ხალხს სურდა. ამეგრათ რუსის ხალხი მოკლებული იყო ეროვნულ უფლებებს.

დღეიდან რუსის ხალხი ამოერავს ისეთ წყობილებას, როგორც მას თვითონ მოსწონს, და სათავეში დაუყენებს ისეთ პირებს, რომლებიც მისი სუფეთოდის თანხმით განაგებენ ქვეყნის საქმეს.

ეი ამეგრათ რუსის ხალხმა აღადგინა თავისი ეროვნული უფლებანი.

ამ საკრთო ბრძოლის ველზე შენც საკმაოთ დაღვარე ოფლი და სისხლი, ამხანაგო მუშა!

გაღმოგეხედე შენს მშობელ ერს—ქართველ ერს და მოთხარი რა მოაბეზეა მან?

თავისუფლება,—მუშანენ შენ

მართალი ხარ, რუსის ხალხმა ჩვენ მოგვანაწილა თავისუფლება, ძალიან დიდი თავისუფლება, ხალი ეს თავისუფლება რუსეთისათვის არის მოქალაქობრივი, ეროვნულიც; ჩვენთვის-კი მოქალაქობრივია მარტო.

ვერ გიგიგია?

ბუნებარა აქ არავერია.

ეროვნული თავისუფლება ნიშნავს იმას, რომელსაც ერი თვითონ განაკებს თავის საკუთარ საქმეებს.

ძველი რეჟიმის დროს რუსის ხალხი თვითონ არ განაკებდა თავის საქმეებს, დღეიდან-კი თვითონ განაკებს ისე, როგორც მას ენებება.

ქართველი ხალხი ძველი რეჟიმის დროს თვითონ არ განაკებდა თავის საქმეებს, ახლა რეჟიმშიაც ის არ განაკებს თავის საქმეებს.

რუსის ხალხმა რეჟიმუფეთო მოაბეზა სრული თავისუფლება—მოქალაქობრივი და ეროვნული.

ქართველმა ხალხმა-კი მოაბეზა ნახევარი თავისუფლება—მოქალაქობრივი.

მაგ რა გვაკლია?

მეორე ნახევარი სრული თავისუფლებისა—ეროვნული უფლებანი.

რას ნიშნავს ეს ეროვნული უფლებანი?

ეი რას, ამხანაგო მუშა!

რუსის ხალხი მოაწყობს თავის საქმეებს და განაკებს ისე, როგორც მას უნდა.

ჩვენი უნდა მოვეპოვოთ უფლება, რომ ქართველმა ხალხმა ისე მოაწყოს თვისი ეროვნული საქმეები და ისე განაკოს, როგორც მასა სურს. ეს არის მხოლოდ დემოკრატიული მოხოვნილება—მთელი ერი თვითონ უნდა განაკებდეს საკუთარ საქმეებს.

— "ეგი განაკებენენ ბინდა, გამოეოფა და რუსეთის მიტოვება", მეუნები შენ.

არა ამხანაგო მუშა! ფიქრობ დამშეფარობ. რუსეთთან სიტყვიერ, რუსეთთან სიკეთდადი—ეი ჩემი რწმენა

მე მხოლოდ ის მინდა, რომ ქართველი ხალხი საკუთარ, შინაურ ცხოვრებაში სრულებით თავისუფალი იყოს და თვითონ განაკებდეს საქართველოს საქმეებს.

ჩვენ რომ ასეთი სრული თავისუფლება გვეკანონება, გაარწმუნეს, ამხანაგო მუშა, მაშინ კიდევ უფრო შეგვეეგარდება რუსეთი და რუსის ხალხი, მისი ბედნიერებისათვის სიტყვიერად არ დავიშურებთ.

რა არის ამისათვის საჭირო?

რა და ტერიტორიალური ავტონომია

ვიცი, ვიცი! შენ რაგორ მიიღებ მას, რასაც ფედერალისტები თხოულობენ! შენ ხომ სოციალდემოკრატი ხარ, ფედერალისტებთან რა გაქვს საერთო?

დავანებოთ ამ ფედერალისტებს თავი. წარმოვიდგინოთ რომ ისინი არც-კი არსებობენ საქართველოში.

რომელიმე მაგრაზმელი შეიტანა ძე—ქართული ენაზე დაბარაკობს. მერე შენ რაგორ დაბარაკობ ქართველთან? მას ხომ მაგრაზმელი თავადი თავის ენაზე ენის უმახის? რა გაქვს შენ საერთო მაგრაზმელთან?

რა ეკუთვნ, ჩემი ლეგანენი ქართველია, მეუბები შენ,

შენ მართალი ხარ, ამხანაგო მუშა.

დაბნეგული ერის ეროვნული უფლებანიც სწორედ ენა, რომელიც შენთვისაც საჭირო და ბევრი სხვისთვისაც.

ქართველმა ერმა რომ აღადგინოს დემოკრატიული რუსეთის ნებით თვისი ეროვნული უფლებანი, შენ რა უნდა გაკონდეს ამის წინააღმდეგ?

განა რუსის მუშას არ უხარია, რომ მისმა ერმა ეროვნული უფლებანი აღიდგინა?

შენ შენი ერი ე�d ეროვნ გიყვარს და განა არ გაგახარებს ის, რაც შენი მშობელი ერისათვის სასარგებლოა?

შენ არ შეგიძლია ტერიტორიალური ავტონომიის ხსნარი არ დაუშვირო, რადგანაც აქ არის ადგილები შენი ერის ეროვნული უფლებისა, აქ არის თავისუფალი და თავისი თავის პატრონპატრონი ქართველი ერი.

რა გეგონოთ რომ ფედერალიზმებიც ავტონომიის თხოულობენ? შენ ეს რათ გაშინებს, ამ ხსნაზე შუშა?

რუსეთში ეკადეტები დემოკრატიულ რესპუბლიკის თხოულობენ. მაგ სიფალდელმოკრატმა შუშამ ადარ უნდა მოითხოვოს იეგეე! ის ხომ კადეტი არ არის, რომ კადეტის მოთხოვნილების ხსნარი დაუშვირის!

მაგრამ რუსის შუშს ეს არ აშინებს და კადეტურ ერთიანი ითხოვს ისიც დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

არც შენ უნდა შეგაშინოს ამ კარგოვანებამ, რომ ფედერალიზმები ტერიტორიალურ ავტონომიის მოითხოვენ; შენც უნდა მოითხოვო იეგეე, რადგანაც ამაშია ქართველი ერის კეთილდღეობა.

და მერე ვის ეკუთვნის ქართველი ერის კეთილდღეობის დარაჯობა, მისთვის თავ-გაშეტებული ბრძოლა?

რასაკვირველია, უმირველსით და ეუფლაზე უფრო შენ.

ან იქნება შენი სიფალდელი მეზობელიგეთ შენ გეგონა, რომ ტერიტორიალური ავტონომია პატრონეფობის ადგილია!

რასაკვირველია, შენ იმდენი შეგნებული ხარ, რომ ამაში ეკადარვინ მოგატყუებს, მაგრამ ეზეშეა-კი ხარ, ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნა ვინ თუ სიფალდელმოკრატიის ბრალია? ეროვნულ-ეკონომიკა!

მაგ ეუფრი დამიგეე, ამხანაგო შუშა! ეფალნეფში არიან სიფალდელმოკრატები და ისინი თხოულობენ ეფალნეთის ტერიტორიალურ ავტონომიას, ფალეს-კი ეფალნეთის სრული თავისუფლებას იტყვენ: ეფალნეთი სულ უნდა ნაეფალნეფლეს რუსეთს და დამეუკიდებელი იეფალ.

ეი რას ამბობენ შენი ეფალნელი ამხანაგები და შენ-კი ტერიტორიალური ავტონომიის ოცნებ ეეფ კაბიანეთ!

ეეს, ეე ბინდა რომ შენთვის კაუკეფეკი არაფერი არ იეფალ: მე ბინდა რომ შენ სრული უფლები იეფ საკუთარი თავისა, საკუთარი ნებისა!

ფიტკვაში არიან სიფალდელმოკრატები და ისინი ფიტკის ტერიტორიალურ ავტონომიას თხოულობენ

უკრაინაში არიან სიფალდელმოკრატები და ისინი უკრაინის ტერიტორიალურ ავტონომიას თხოულობენ.

ჩაუკვირდი ამ მოგდენსს, კარგად ჩაუკვირდი, ამხანაგო შუშა!

რუსეთის ეეფალ კანაპირა ერების შეეფი თავთავის ქვეყნისაითვის ტერიტორიალურ ავტონომიას თხოულობენ და შენ რას ეეფაშინობ, შენი ხმა რატომ არ ისმის?

კეფიგეკი, ამხანაგო შუშა, შეფინია, არ ინანო: შეფინია, ვაი თუ შენმა შეზობელმა ერმა ბოდალ სიეეედერეთი მოგეშიოთოს.

ჩაფიქრდი, ჯერ კიდევ დაკეკანებული არ არიან.

დეფერთმა ნუ ეკეანს, მე ნეფრგ მოგაწერეთ-ეარ ეა რომ შეკაზეეენოს შენმა შეზობელმა ერმა: მეფალეტეფ?

კაბეფეკ, ეაბმალეფ შენი ხმა. ეაბ კიბეფეკაზობეფ!

კანა ბალფანეთის, ფალეტეშეის, უკრაინის, ფიტკის, ეესტონეთის შუშეი ტერიტორიალურ ავტონომიას არ თხოულობენ?

კანა ეესენი თავისი ხალხის, თავისი ეეფალ-რეტეის ტერეფი არიან?

ვიფი შენ რასაც ეეფიერობ, ამხანაგო შუშა: ავტონომიაის მოთხოვნა სარეფალეფეფიო ძალთა ფაკესაკენ ეარ ეამაოეეეეეს და კონტრ-რეეფალეფეტეის ხელს შეეფეეეობსო.

ამხანაგო შუშა, ნუ ეეეეეენეეს და რათა კეეთნა, რომ შენ ეეფრო შეეეეეფეფალი ხარ, ეიდრე ბალფანეთის, უკრაინის, ფიტკის, ეესტონეთის და ფალტეშეის შუშეი?

შენი ეეფალ ეაეეეეეეფალ ეა ტერიტორიალურ ავტონომიას არ ეალთხოვეეეეეს. კანა ეეთ შენეეეეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართავდა რუსეთის ყველა კანონმორა ქვეყნების მეფეებს და კომუნისტებსაც:

ამხანაგებო, არ მოითხოვოთ ტერიტორიალური ავტონომია, რადგანაც ეს ჩვენს ძალას დაკარგავს და კონტრ-რევოლიუციის ხელს შეუწყობსო.

ამის ნაცვლად კი ჩვენ რასა ვხედავთ?

პროლეტარიატის ერთი სიკეთეა წარმომადგენელი სოციალდემოკრატიის მეფეთა დეპუტატების სიაზეა წეფი—ეკონომიკის დეპუტატია მომართავს და ეუბნება: ჩვენ მოიშორენი ყოფილ ოქვენი ტერიტორიალური ავტონომიისა.

შენ იქნება ჰფიქრობ, ამხანაგო მეფე, რომ სხვებისთვის ტერიტორიალური ავტონომია საჭიროებლია; ჩვენთვის კი საჭიროდ იქნება.

მაგრამ ასეთ ახრს არავითარი საფუძველი არ გააჩნია.

თუ ამას ჰფიქრობ, რომ ავტონომიურ საქართველოში სხვა კაცი კაბინეტიანები და დამოკრატიის ინტერესებს შეეფეწრებს, ნუ ბეჭონება, ამხანაგო, და მოდადი ჭეფიდეხარ.

ჯერ კეშანაც. რადგანაც ჩვენში ძველი რეჟიმი ფერფლშიაა, ჩვენი დემოკრატია ყველა კალსზე ძლიერი იყო და, თუ ჩვენში დემოკრატიული რუსეთის მფარველობით ტერიტორიალური ავტონომია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებელი კრება

რუსეთის რევოლიუციამ—ძველი წყობილების დამსობა და ახალის დამყარება—ბუმბერაზულის ნაბიჯებით მიჰქარის წინ.

გამოცხადდა ოთვისუფლების წერილ, ბეჭდვის, კავშირების, პარტიების, სარწმუნოების, კრების და სხვ.

სრულიად კანონიერისუფლის სასუფევლი თუ სარწმუნოებრივ საქმეებზე დასჯილნი და წარიმეფენი უფლებანი დაუბრუნეს.

ცოხე-ბილეგთა კარი ბეღელს ხალხის კანონიერ უფლებასთან შებრძოლთ, სამუკიროდ იქ ჩაეწყვიტეს ხალხის მტერებლნი და ნამეფარი ნიკოლოზ შეორეც ზედ მიეფიდეს ცოდიანად.

გამოაცხადეს ეროვნებათა თანასწორობა...

ირღვევა ძველი, შენები ახალი...

კონსტიტუციონალური ხალხი ახლა ცდილობს, ძველ სამართლიანი ულიდეი თავი ალარ კაბეგის და მიწის მფლობელობისა თუ სხვა საქმეები თავის სასარგებლოდ მოაწყოს.

ხალხი, კარი და ბურჟუაზიული ინტელიგენცია ადგა ბეკრათანეულად ძალის წარმოდგენს, ისეთნაგის ან წინ ვინ დაუდგეს—ინტელი—და ალ-სრულებს.

ამბისთვის ეა საჭიროა დამფუძნებელ კრების მოწვევა, რომ რევოლიუციის მონაურეი დაკანონდეს.

რა არის დამფუძნებელი კრება?

დამფუძნებელი კრება შესდგება მთელი სამეფოთის მცხოვრებთაგან, ეოველი წოდებისა წრის კაცთაგან (ბეძიდან ქალებიც) საეოველთაო პირდაპირ, ფარული და თანასწორ კენჭის ეროთ არჩეულ პირთაგან.

ეს კრება მოსწყობს ძველ კანონებს ან ახალს დაადგენს. დამარეგულის ის ფაქტი, რომელსაც შეკრ ხმა ექნება. ამ კრებამ უნდა შეიმუშაოს სახელმწიფოს მართა კაბეკობის ძირითადი კანონმდებლობა—კონსტიტუციაა.

ამ კრებისკენეე ეადან რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის შემოდებას.

ეს კრება, რაკ შეიძლება, ჩქარა იქნება მოწვეული.

ჩვენი ქვეყანაც საბოლოოდ თუ მიიღებს რასმე, სწორედ მაშინ მიიღებს.

მაგრამ თუ ამ კრესაზე ჩვენი ქვეყანა ჩანაგდეს მოსაზრებული, მტრული კარეკეეეი მოიხოეწოდებით ერ წარმოგზავნ და ჩვეეედანრეკ პარტიები წარდგენენ დაქსაქსული მოთხოვნილებით, ეეერეფერს მიეიღებთ.

ჩვენში ეი ჯერ კიდევ პარტიების მძაფრი ეინანაზმა ეკმეფეფილა ან ეოეეედ პარტიის ქვეეანის კიბედნიერება თავისებურად წარმოდგენილა,—იქნება თითოეეედი მოეანი თავთავისად მართ�eიდ ეიოს, მაგრამ სრულიად საქართველოს ინტერესი და მოსწრეფებას მაინც ვერ გამოხატავს.

რა არის საჭირო?—საჭიროა მთელის საქართველოს ეროთანი მძღვანი ხმა, ერის კრებეეეი მოთხოვნილება.

ვინ უნდა ამოიდგას ეს ხმა?

მთელის საქართველოს მეკიდრ მცხოვრებეფთა, წოდებანი, სარწმუნოებანი, ეროვნებანი, პარტიულობანი და საქმანი კანონიერეკდ პირდაპირ, საეოველთაო, თანასწორ და ფარეულ კენჭის ეროთ არჩეულნა წარმომადგენელთა დამფუძნებელნი კრებაში, რომელიც მოწეეეულ უნდა იქმნეს თბილისში.

ამ კრების დანესრება ერის კეთილ და სასუდიეროდ, თავდაცხნაურად და კეთილ, ეკანერიდ და მეეეეს, ქალიც და კეთილ,—ეროთა სიტეეეთ მოეელი საქართველოდ.

ეა ამ კრებამ უნდა კანესრეეეეთოს, და შეიმუშაოს რა ეეეერი ეეეობიდეეა მოკეეეეხეეეა ადგილ რა ერეთა ნასეეეეეფარის მოაეეეეეს და ეკანონეი ეეეეედეთ და სეეეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰა, ესეც განთიადი

საუცხოვო ღამე იყო.

მუქ ცის გუმბათზე ბადრი მთვარე მოკაშკაშე სხივოსან ლამპრით მთელ მსოფლიოს ანათებდა.

მოლიპლიპე ვარსკვლავთ გუნდი გარშემორტყმოდა გრძნეულ მთვარეს და საამბოროდ მისკენ ისწრაფოდა.

მთის ძირას შეურყევლად იდგა ტაძარი, რომელიც ივერიის ბუმბერაზ მთებს გასცქეროდა.

ტაძრის გალავანში ხალხის ერთი ჯგუფი შეგროვილიყო და საამო საუბარს მისცემოდა. მათი კიჟინა და ხარხარი ცელქ ნიავს ექოდა გაჰქონდა.

— ხალხო, სიმღერა! სიმღერა ტკბილი! წამოიძახა ვიღაცამ.

— სწორია, სწორი! მიუგეს აქეთ იქიდან.

— აბა, გიორგი, მაშ ჩამოჰკარ სიმებს“ სთხოვა ბერი კაცმა არჩილმა.

გიორგი წამოჯდა მწვანე გორაკზე, ხელთ იპყრო ფანდური და დაადიდინა მწყობრ ჰანგებზე.

ყველა აღტაცებით უსმენდა სიმღერას, თითქო ცაც მოიღუშა, დანაღვლიანდა.

ცის კიდურზე ღრუბლები ნელი-ნელ გადმოწვნენ, მთვარე მის კამარაში მისცურავდა.

გრძნეული ჰანგი ჰკვნესდა, ოხრავდა მწარედ.

მსმენელთ ცრემლი სდიოდათ.

— ხალხო, წავიდეთ! ასეთი ღამე ცუდის მომასწავებელია, გაისმოდა ბრბოში.

ყველა სახლისკენ გაეშურა.

დარჩა მხოლოდ ორიოდე კაცი.

— გიორგი დაკვრას ნუ შესწყვეტ. დეე, გლოვის ზარი ჰგოდებდეს ჩვენს გულში, მაგრამ იცოდეთ კვლავ აღსდგება წამებულთ ღმერთი და აფრიალდება სიმართლის დროშა წარმოსთქვა არჩილმა.

— კეთილიმც იყოს! მიუგეთ ყველამ.

— გიორგი ტყის ნაპირას წავიდეთ. დაიწყო ისევ არჩილმა.

იქ ბუნების სამეფო'ში ვყნოსოთ სევდის ყვავილები.

— წავიდეთ, წავიდეთ! მიუგო გიორგიმ და გასწიეს სევდის ბაღისაკენ.

ღრუბლებ შორის მოცურავე მთვარეც გაჰქრა.

მოღუშულმა ღრუბლებმა ჩამოჰკიდეს ციურნი ცვარნი.

ქარმაც ბობოქრობა იწყო.

— ძმებო! აცივდა, წავიდეთ სახლში. წარმოსთქვა გიორგიმ.

— არა, გიორგი ჩვენ ვერ წავალთ. განთიადისას ჩაგრულთ მზე ამობრწყინდება, თბილ სხივებით ტანჯულ ქვეყანას ცრემლებს შეუშრობს და ჩვენი ქვეყანაც შვებით ამოისუნთქავს. ჩვენ მოვალენი ვართ აძ ზეიმს სიხარულით მივეგებნეთ.

გიორგიმ განაგრძო დაკვრა. კვლავ სმენად იქცნენ. დრომ გაირბინა. ცა მოიწმინდა, ბინდბუნდი აიკრიფა. სინათლე ნელი-ნელ მოეფინა ქვეყანას, გათენება მოახლოვდა. გიორგი ფანდურს მწარედ აკვნესებდა. უკანასკნელად ამოიკვნესა ტანჯულმა სულმა და მიდამოც განათდა.

— „აჰა, ესაც განთიადი!“ სიხარულით წამოიძახა არჩილმა და სპეტაკ სახეზე სიხარულის ალმა გაჰკრა. გიორგის მწუხარე სიმებმა სამხიარულო ჰანგით გაიხმაურა. დანამულ მოკამკამე არე-მარეს საამო ელფერი დაედვა. სურნელოვანი ია, ვერცხლის ნამით შეხუთული, პირ-მოღიმარე შესცქეროდა ამომავალ ალისფერ მზის შუქს.

„აჰა, ესეც განთიადი!“ კვლავ გაიმეორა არჩილმა და ღაწვებზე სიმხიარულის ცრემლი ჩამოსკდა.

— დეე, ამ განთიადს მოჰყვეს ცხოველ მყოფელ მოელვარე მზის სხივები.

— კეთილიც იყოს! უპასუხეს იქ მყოფთ.

კეთილიც იყოს! ყრუდ გამოსცა უღრანმა ტყე·ღრემ.

სოსო მათიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენ ჯორჯიაშვილი

აი ვიდაცა, რომელმაც მტარვალს
დაჭრა მახვილი, მოიღო ბოლო,
ხალხს შეეწორა ერავად, ზეარკად,
მით ასახელა თავის სამშობლო!

ახლა გაცოცხლდა და მოგვილოცა
წმიანელი დროშით ქრისტეს აღდგომა!
ლხენის ლამპარი გულში აგვინთო,
ტკბილი სიცოცხლე მით მოგვანდომა.

მე ამ სურათსა ვეიმბორები,
ია-ვარდისა კონას დავეწნე,
ტანჯული ერის მკვდრეთით აღდგომას
აღფრთოვანებით ხალხს მივულოცავ!

მაშ გაუმარჯოს თავისუფლებას,
მსოფლიო-ქვეყნის ძმობა-ერთობას,
ამათთან ერთად ჩემ საქართველოს,
ჩემი სამშობლოს კეთილ-დღეობას!

ჯორჯიაშვილი ქართველი იყო,
მისი გვირობა მე თავს მაწონებს,
ავი ყველა მძულს ჩემიც და სხვისიც,
თუ რამ კარგი სმირს ერს ის აცხოვრებს!..

გიგო თეძმისაულელი.

ძველი ზღუდე

ბოროტების ძველი ზღუდე
დაინგრა და გენადგურდა,
სასიცოცხლო ყოფნის ხმაზე
მუშა ხალხი ახმაურდა;
და მიიწევს მომავლისკენ
ახალ ყოფნის გასაშლელად;
და მიიწევს ახალ ძალით
ძველი ქვეყნის დასაწველად...

სიო კალანდაძე.

შეგდავთა ხსოვნას

(მარტის 25 თბილისში)

კინასაგო თავდაუწყვეტელი, მძიმედ მოძრავი
და ცხრათავადა მზით ადანდაბებული ზღვა?

ასეთი იყო მარტის 25-ს თბილისის ქუჩები, განსაკუთრებით ერევნის მოედნიდან მოედებული ვაკემდე და მოედი ვაკე, ოთხმის 10 ეერსი.

დროშაები... დროშაი ბევრი, ეკოდენ წითელი დროშა თუ ვისმე სადმე უნახავს!

ხალხი და ჯარი, ქალი და კაცი, მოწაფე და მუშა, მოხალვა და ხელოსანი, ვაჭარი და ნოქარი უამრთ-უამრავი ერმანენეში რიგ-რიგად!

ეერე რა მიდეოთის ხალხსა არა ნახავდით აქა თავოთავისა დროშაებით, თავოთავისი სიმღერებით!

უმეტესად კი მარსელიოზა კაისმოდა. მარსელიოზას მღერდენ ჯარი, მუშები, მოწაფენი, ქალები, ლიხის მგზავები (კალიუნიკები) და ტუსადები. მარსელიოზას უგრავდა მუსიკა და ზარნიც კი.

ეს იყო ეეკვა ბანჩარამ, გაუთავებელი ბრწყინვადე სანახაობა!

თავდსა და კონებს იტაცებდა წესრიგიო და მუშადან მიმავალი ხალხი და ჯარი, ერთეულებისა და სარწმუნოების განურჩევლად, ძმურად ადარაზმული, თავთავის იერით და სახით.

ეს იყო ინტერნაციონალის კამარჯვება!

ეს იყო რევოლუციის უმადესი ზეიმი.

ამ ზეიმს დაესწრენ ე�eდა მარტიები; ქოგა ოვეგენ კოკაესიის კომისარები: ა.ბ. ნიკენეკი, ა. ალბაშიძე, ბაბაჯანოვი, ჯაფარიძე და სხ.

ორატორებს ხმა ინკარიში ანა ჭქონდა.

მრავალ ადგილას ავტომობილებზე ადმართოდ ტრიბუნებიდან ორატორები ხალხს უმართავდენ ამ დღის მნიშვნელობასს.

რა დიდ იყო ეს დღე?

საქართველოს დედა ქალაქი თბილისი, იგივე კოკესიის შუა ეეკეი, დღეს მუშაკს იაღვეკდა იმ შეეადრებედ ეეკეკდ ემორთა ხსოვნის წინაშე, რომელთაც თავიანთ ერობელობის დაცვისთვის და რეესეოის ანთავისუფლებას თავი შესწირეს!

ბევრი, ძალიერ ბევრი ადამიანის სიტყვებდ შეეწირა ესსეეერმდინ ამ თავისუფლების მიზეეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება და სიუკეთ ხსენება გმირულად დამოგლილო, სასული და პატიოსი ხალხის მეს-ვეური. კანსაკუთარულთა ამრიალნი ეალად ბეგეთენ შუბე მიჯალებულ ოსეთესუფლებს თავდაზ ნანი-ვით ბეგეფერხალდეგი. ამბისეთს კი საჭირაოა დარაზმეა, შაჩანმეკეფელთა, პატრეფელი კინ-კალამბალ ‘ეკალეფეფეს ბა მხოლდ ეერთი მიზნისაკენ მეკალეფელ ‘ეასდეა.

ეს მიზანია ძველი ‘ეეთიბლების სამეკალმიდ დამზობა, ახალ ‘ეეთიბლების საბიდოდ კანმეკალ-ებეა. ‘ეეკალდეკალ მსზეკალმა ხსოკენაკ ამაოი ‘ეეკალ ‘ეეკალდეკ. ‘ეეკალ‘ეკალ გმირთა ხსოკენაკ!

ოსეთ ბარიმთიელი

სმბები

ალალი გაზეთი საქართველოს სოციალდე-მოკრატიელ ავტონომისტ-მეშჳთა პარტიისა **„ჩვენი ერთობა“** გამოყა დღეკ, აღდგომის ღღეს. პირველ ნომერში, სხვათაშორის, მოთავსებულია ივ. გომპრთელის ‘ეეკრი „სოფლის ხალხს“. გაზეთის მიზანია პოლ-ტიკიერ კითხვების სახალხოდ განმარტება, ავტო-ნომისტთა გაერთიანება და ტერიტორიალურ ავტო-ნომიის პოპულიარიზაცია თითო ნომერი-5 კ თითო-ეულად გ. ‘ეიკიდეკ „ეანაღლების“ აგენტებთან, დაკეკ-თა შეიძლება „ეფატი ფი ცხოვრების“ რედაკციაში.

ალბეთეს (ზიგნი კაბეეთი) კკრის, მარ-ტის 26, შუადგა ყრილობა. ყრილობას დაესწრო ოსეს ბიდ-შელი, ხალხს ეუხსნა თ.ნამედროვე მდგო-მარეობა და განემარტა სოფლის მეშვეკე საკითხი—ტე-რიტორიალური ავტონომიის მნიშვნელობა. აღდგო-ბრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელმმა ოსეს ბიდ-ადმელი მეორე დღისთეის გაიწვეს არაშენდში, სა-დაც მეტინეს დიდძალი ხალხი და სხვა და სხვა პარ-ტიების წარმომადგენელნი დაესწრენ. მიტინგზე ერეკ-ლი სიტყვა წარმოსთქვა ოსს. იმედშელმა, რომელ-მაც განმარტა დღეკანდელი მომენტი, და სხვა და სხვა პოლიტიკეკენ კითხვები, ტერიტორიალური ავტონნ-მიის მნიშვნელობა, ‘ეაიკა ხალხმა დიდ-ს ყურადღებით მოისმინა და ქმაყოფილიც დარჩა. შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ძღ. გ. ბოკორიერმა, რომელმაც ერ-თობისაკენ ოიეწოდა ხალხს. ილაპარაკა შიბლიანის ერთმა გლეხმაც.

ეუნ. „თეატრი და ცხოვრების“ ფონდის სასარგებლოდ მიეიღეთ: 1) ოთ. დიმ. ალალიშვილისა-გან-100 მან. (ათი თუმან). 2) გიორგი მაღრაძისა-გან-3 მან. 3) ილ. ხარ ტიშვილისგან-1 მან. 4) ელ. ანტონიაკეფისგან-1 მან. 5) ივ. ვანეკანშვილისგან-50 კ. 6) ვიტ. თარხანმ მოურავისაგან-1 მ., 7) ეენრ-ბმა-50 კ., 8) გ. მ. ხუნდაძის გან-5 მან.

შემომწირველი გულითად მადლობას ვეძღვნით. რედ.

„თეატრი და ცხოვრება“

ორი პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლი-4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სო-რაპანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის კუნძ ‘ეკ 1 ფოსტით: Тифлис, ред. „Театри да Цховреба“ — Іос. Имедашвили.

ახალი კლუბი

ქვირის პრო. აპრილის 2-9

ქვირა — რუსული წარმ-დგენა. ბილეთ50-30კ.

ოკ-შაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

სამშაბათი — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმეტ. ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთების: 1 მ.-30 კ. ‘ეეკ-ბაბ. — საოჯახო საღამო

ქვირა — რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

ფასაწერილი: კონკერტების საღამ. 3 ათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ საღ-შეხვ. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც 1 მ

ხარფუხის საზოგადო კლუბი

ოკ-შაბათი — სინემატოგ. სიმეტ. ორკ.

სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმეტ. ორკეს.

ოთხშაბათი — ქართული წარმომდგენა.

ხუთშაბათი — ოპერეტა რუსული ენაზე.

პარასკევი — საოჯახო საღამო

შაბათი — რუსული წარმომდგენა

ქვირა — სიმეტიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუ-დენტები - 25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოგენა — კონკერტების — სინემატოგრაფ — საღ. 8 ნახ. ს.

რედაქტორ-კამამდგომელი ოსეთ იმედაშვილი

სტამბა „სორაპანი“